# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 268. კვირა, 7 ნოემბერი 1904 წ. გაზეთის № 2668.

# სტუმარი

(ბატონ-ყმობის დროინდელი ამბავი)

წირვის გამოსვლის დრო იყო. თბილი მზე მხიარულად დასცქეროდა დედამიწას და რაღაც ფანტასტიურ ელფერს სდებდა მთელ მიდამოს. ეს ის დრო იყო, როცა ზაფხული უთმობდა თავის ზურმუხტ ტახტს შემოდგომას და როცა შემოდგომაც, ჯერ კიდევ მორცხვად, მაგრამ მტკიცედ აპირებდა დამკვიდრებას დედამიწაზე. ქვეყანაც თითქოს მოხუცის ღიმილივით ილიმებოდა ტკბილად და სიყვარულიანად, თითქოს იწვევდა ხალხს სამხიარულოდ, თავის კალთებში მშვიდობიან საალერსოდა და სათამაშოდ. აქა-იქ ოდნავ შეყვითლებული ფოთლები უხმო შრიალით ცვივოდნენ ძირს. დიდ უზარმაზარ ცაცხვის ქვეშ, საბატონო ფაცხების ახლოს, ბუზებსავით ირეოდნენ თავად მამუკა დიდიძის შინაყმანი და მკვირცხლად სდგამდნენ ოთხფეხა გრძელ ხის სუფრებს. რაღაც განსაკუთრებული სიცოცხლე და მხიარულება გამოკრთოდა ყოველ იმათ მოძრაობაში, ან კი როგორ არ ემხიარულნად, როცა ყველასათვის გულით სიყვარული, გულკეთილი, პირველი მოსიმღერე და მომღხენი ამხანაგი მერიქიფე ბიჭია გაბედნიერდა დღეს. გაბედნიერდა იმით, რომ ბიჭიას რამდენიმე წელიწადია გაგიჟებით უყვარდა ქალბატონის მოხუცი გამდლის ყარდაშვერდის ქალიშვილი, საოცრად ლამაზი მოახლე დილვარდისაი. რამდენიმე წელიწადია ბიჭიას მოხუცი დედმამა ზრდიდა და ასუქებდა იმ ხარს ბატონის საძღვნოდ, რომელიც წუხელ საღამოს მოართვეს ბატონს და მუხლ-მოდრეკით შესთხოვეს ქალბატონს, რომ მოეღო წყალობა ბატონს და მიეთხოვებინა „ბიჭიეიზა“ დილავარდისაი. დღეს დილით, როცა ხარი დაჰკლეს და როცა ბატონმა გაიგო, რომ ხარი „თუნთრუბასავით“ არის, რომ იმის ჰამას ალარაფერი სჯობს, აფრინა ბიჭი ყველა თავის აზნაურებთან ცოლებით, ჯერ წირვაზე და იქიდან სადილად დასაპატიჟებლად.

მხიარულად გამოვიდა დილით მამუკა თავის საბატონო



მილი.—ქანდაკება კორნუსი.

მამუკა, თავის არწივისებურ ცხვირით, დიდრონი წაბლის ფერი თვალებით არწივისებურად იცქირებოდა ირგვლივ. ტანზე სირმით „გაქედილი“ გრძელი ლურჯი ჩოხა ეცვა. ხუჭუჭ ოდნავ ჭაღარა შერეულ თავს უმშვენებდა კეფაზე დახურული ფაფანაკი. ის იყო ლამაზი, მოხდენილი, მხიარული ვაჟკაცი. უკან მისდევდა მეუღლე მისი მზეთამზე, მაღალი ლამაზი, მოხდენილი, მაგრამ უსაზღვრო მორჩილების გამომეტყველ სახის მქონე ქალი. ცოლ-ქმარს რამდენიმე მხლებელი შინაყმა მიჰყვებოდა. გამოვიდა თუ არა გარედ, მამუკა მეორე საშინაყმო დაწნულ ფაცხიდან გამოცვივდნენ შინაყმები. მამუკამ მიიხედა იმათკენ, ერთ წუთს შეჩერდა და მხიარულად დაიძახა:

— ეი, თქვენ, დამიძახეთ აქეთ სეხნიას და მის ცოლს!

შინაყმათა გროვა მიიწმოიწია და წინ წამოდგა მოხუცი თეთრ წვერა სეხნია თავის ბებერი ცოლით.

— სეხნიავ, დილვარდისას თხოვნილობ რძლათ შენი ბიჭიეიზა... დამიძახე ბიჭიასაც!— მიმართა სეხნიას და სწრაფად მიუბრუნდა ცოლს,—მზეთამზე უბრძანე დილვარდისაი მეეიდეს.—დილვარდისაი და ბიჭიეი თვალის დახამხამების უმალ გაჩნდნენ.

— აბა, ბიჭო, ბიჭიავ, გაძღევ დილვარდისას, შეგაბეროს ღმერთმა მზე და მთვარესავით, მარა არც შენი და არც დილვარდისაის გაშობა არ შემიძლია. შენ ისევე მელიქიფეთ და ჩოსიმღერეთ დარჩები და დილვარდისაი მოახლედ.

— ღმერთმა შენი თავი ნუ მოგვიშალოს, ბატონო,— გაისმა მოხუცებულებისა და ახალგაზდების მადლიერი ხმა. ყველანი დავარდნენ მუხლებზე და დაუწყეს კოცნა ცოლქმარს ხელებსა, მუხლებსა, კალთასა და ფეხზე.—ღმერთმა შენი თავი ნუ მოგვიშალოს, ჩემო ბატონო, ჩვენო მწყალობელო, რომ გაგვაბედნიერე: მეტი წყალობა რაღა იქნება ჩვენდა, შენი ფეხის მტვერი ვართ, შენზე უკეთეს ვილას უნდა ვემსახუროთ, მაღლა ღმერთი და ძირს შენ, ჩვენო ხემწიფევ!..—ისმოდა მოხუცი სეხნიას, იმის ცოლის და ბებერ ყარდაშვერდის სიტყვები.

ქალბატონის წინ დაჩოქილი აღელვებული, გაწითლებული დილვარდისა გაქვავებულიყო სიხარულისა და სირცხვილისაგან. ქალბატონი უღიმოდა მას და უსვამდა თავზე ხელს. ბიჭია კი მორცხვად იგრიხებოდა პაწაწკინა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



გენერალი ბარონი ა. კაულბარსი,
მანჯურიის მესამე არმიის უფროსი.

— დღესტორს ჯვარი დეიწერონ, მე ვეტყვი ხუცესს,— სთქვა მამუკამ,—აბა ყოლიფერი ხაზირათ იყოს სადილისა! მორბედი ხომ გაგზავნეთ აზნაურებთან, მოურავო?

— კი ბატონო, აზნაურები გიახლენ საყდარში,—მიუგო მოურავმა.

მამუკამ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი შინაყმებს და გასწია თავის პაწია კარის ეკკლესიისაკენ, რომელიც მოსჩანდა მოშორებით ეზოს განაპირას და მოისმოდა ზარის ნელი რეკა.

შუა წირვის დარეკეს კიდევაც და აი საცაა წირვაც გამოვიდოდა. ამიტომ სდგამდნენ ფაცა-ფუცით სუფრებს. მოურავი მხიარულად დარბოდა ხაბაზიდან მზარეულთან და მზარეულიდან მემარნესთან, რომ ყველაფერი მზათ ყოფილიყო.

მამუკა არ იყო ავი ბატონი, მაგრამ უყვარდა ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. შინაყმებს ის არ აწვალებდა და არ სტანჯავდა; ყმებსაც უყვარდათ მამუკა და მზად იყვნენ იმის გულისთვის წყალსა და ცეცხლს შებრძოლებოდნენ. და თუმცა არ თრთოდნენ ყოველს წამს ბატონის წინაშე, მაგრამ არასოდეს არ ავიწყდებოდათ, რომ მათი ბედ-იღბლის გამგე ბატონი იყო და ქედ-მოხრილნი მონები იყვნენ იმისი. დამნაშავის სასტიკად დასჯა არ იცოდა მამუკამ. აი დღესაც სადილის შემდეგ უნდა დაესაჯათ უმცროსი ბაზიერი მახობაი, რომელსაც გუშინ გამართული ლაჟო გაუფრინდა. მამუკას ჩვეულებად ჰქონდა სადილის შემდეგ გასართობის მაგივრათ დამნაშავე შინაყმების დასჯა: ან მდუღარეში ჩააყოფინებდნენ ხელს და ან გახურებულ რკინას დაადებდნენ ხელზე დამნაშავეს და დანიშნულ მანძილს გაარბენინებდნენ. ეს კი არ ითვლებოდა დიდ სასჯელად. როგორ დასჯიდნენ მახობას, არავინ იცოდა, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, უვნებლად გადარჩებაო, და არავინ არ იყო დაღონებული.

სუფრები დადგმული იყო. აქა—იქ ელაგა დიდრონი ყანწები, აზარფეშები. ბიჭია მერიქიფე ჩაქურად გამოწყობილი, ყაბალახით თავწაკონილი, წელში „ფიშტო გარჭობილი“ ბედნიერის გამომეტყველებით უვლიდა სუფრებს. უცებ თითქოს რაღაც მოაგონდა, შეჩერდა და გასძახა:

— მახარბელაავ, ხაზირათ არიან მოსიმღერე ბიჭები? უნცროსი მელიქიფე გამუაგზანე, ბატონებიც მობრძანდებიან აწე.

მართლაც, საყდრიდან მომავალ ვიწრო ბილიკზე, მაღალ გვიმბრაში, გამოჩნდა მამუკა. ის მოდიოდა დინჯად ხელების ქნევით, გაღიმებული. გვერდით ცოტათი უკან მოსდევდა რამოდენიმე აზნაური. უკან დაშორებით მოდიოდენ ქალები. მოვიდნენ თუ არა ყველანი, წავიდნენ სუფრებისაკენ და შემოუსხდნენ სუფრებს დაბალ „სკამ-ლოგინებზე“: მამაკაცები ცალკე, ქალები ცალკე.

— აბა, სადილი!—დაიძახა მამუკამ.

მსწრაფლ მოიტანეს ღომით სავსე ერთი დიდი და მეორე პატარა ხარშოთი გავსებული ქვაბები. მაშინვე აქვე გაჩნდა შინა ყმათა რაზმი: წინ მოდიოდნენ უფრო ხნიერები, შემდეგ ახალგაზრდები და ბოლოს ქალები. ყველა მათგანს ხელის გულზე ცაცხვის დიდი ფოთოლი ედო. თითო-თითოდ მიდიოდნენ ისინი ჯერ ხაბაზთან, რომელიც უდგა ღომიან ქვაბს. ხაბაზი დიდი „ლაფერაით“ ამოიღებდა ღომს და დაუდებდა ხელის გულზე ახალ მოსულს, რომელიც მაშინვე მეორე ქვაბისაკენ გასწევდა. მზარეული იმ წამსვე ამოიღებდა კოვზით ხარშოს, დააწვებოდა კოვზით ხელის გულზე ღომს, ჩაღრმავებდა და ჩაუსხამდა შიგ ხარშოს.

— ოცდა ცხრამეტი,—სთქვა მამუკამ, როცა უკანასკნელი კოჭლი გოგო მივიდა ქვაბთან,—მახობაი სადაა, მახობაი რეიზა არ მევიდა ულუფიზა*)!—დაიყვირა იმან.

— არ უნდა, ბატონო,—მოახსენა მოწიწებით ხაბაზმა.

— რავა არ უნდა, მე ვჩივი და არ უნდა!? მოვიდეს ა: წამს!..

ახალგაზრდა, შავ წვერ-ულვაშიანი, მაღალი ვაჟკაცი მახობა გამოვიდა ფაცხიდან დაღონებული, მრისხანე თვალების ელვარებით და გასწია ქვაბებისაკენ. მამუკას ერთ წამს სიამოვნება დაეტყო სახეზე.

— ურჩობას მიბედავ, ყაძახო?—შესძახა მან გლეხს თითის ქნევით, დინჯად, მტკიცე ხმით, რომელშიაც იხატებოდა იმისი სრული უფლება ამ მახობაის სიკვდილ-სიცოცხლეზე.

— მოურავო, გახურებული ნალი ხაზირათაა?—მიუბრუნდა ის მოურავს.

მახობა ერთი შეთრთოლდა, გაფითრდა, მაგრამ მდაბლად, დამცირებულად გაუწია ხელი ხაბაზს ულუფისათვის.

ამ დროს მოიტანეს ხონჩით დიდი ბეჭი, შემწვარი ქათმები და ხაჭაპურები. მოიტანეს აგრეთვე პატარა ქვაბით ბატონებისთვის საგანგებოდ დამზადებული ღომი, რომელიც პირდაპირ სუფრაზე ამოარიგა ხაბაზმა, და ხის თლილი ჯამებით მსუქანი ხარშო.

— პირფარეშო, ტაშტ-თუნგი!—დაიძახა მამუკამ.

ბიჭმა დააბანინა ხელი ჯერ ბატონს, შემდეგ სხვებს.

— ბატონო, ოსმან ბეგი მობძანდება ქობულეთიდან,— მოვარდა ქაქანით ერთი ყმა და მოახსენა ბატონს.

— ოსმან ბეგიი! აბა, ხაბაზო, ხაჭაპურები და ქათმები მოგვიმატე კიდევ...

— ბატონო, ქათმები და არც ყველი არ გვაქ.

— კაციეისას გააგზავნე, იშონოს.

გზაზე გამოჩნდა თეთრი ცხენით მომავალი, ჩაქურად გამოწყობილი, სრულიად თოფ-იარაღში ჩამჯდარი ბეგი. ყველანი წამოიშალნენ და მხიარულად გაეგებნენ ბეგს, რომელიც შორითვე ჩამოხტა ცხენიდან, წამოვიდა ფეხით და გაჩერდა მამუკას წინ.

— ბძანე სალამი, მამუკავ,—სთქვა მან.

— შენ ბძანე, ოსმან ბეგო, სტუმარი ხარ...

— შენ დიდი თავადი ხარ.

---

*) ულუფა—კერძი.

ბოლოს დაუკრა თავი მამუკამ. მაშინვე ოსმან ბეგმა მკვირცხლად დახარა თავი, სისწრაფით, გრაციოზულად გაიკრა ხელი გულზე, ნიკაპზე, შუბლზე, მისცა სალამი და გაჩერდა. მისი ლამაზი, გაპარსული სახე მხიარულად იყო გაშუქებული. სწრაფი, ქარის უმალესი თვალები დაჰქროდა საგნიდან საგანზე; ყოველ თავის [illegible]ანებაზე შუბლზე, მარჯვენა თვალთან, უთამაშებდა მაღალი წითელი ფესვის დიდი შავი „ფოჩვი“. ის იყო შუა ხნის კაცი.

— აბა, მობძანდი, ოსმან ბეგო, მე აქამდიც მოგელოდი. რა ამბავია დუნიაზე?—მამუკამ დაისვა გვერდით ოსმან-ბეგი და შეუდგნენ ჭამას.

— მელიქიფევ, გაგვიფსე ყანწები, მოსიმღერეებს დუუძახე, ბიჭიავ,—დაიძახა მან და მიაწოდა სავსე ყანწი ოსმან-ბეგს:—აქანაი შეიძლება დალევა,—უთხრა მან სიცილით ბეგს:—მაჰმადი შორსაა, ვერ დეინახავს.

ოსმან-ბეგმა სიცილითვე ჩამოართვა ყანწი, გადაჰკრა შუშხუნა ჩხავერი დი აზნაურ ყაფლანს გადაუგდო ყანწი, რომელიც იმან კოხტად დაიჭირა. ყანწი გაავსო მერიქიფემ.

— აი ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი პატონი, იმის კაი გული ნუ მოგვაკლოს,—დაიწყო ყაფლანმა,—ღმერთმა ნუ დააკლოს ჩვენ ბატონს დიდებული სტუმარი, ბეღელში პური, მარანში ღვინო, ბაზიარი და ქორ-მეძებარი; უმრავლოს ღმერთმა ყმაი და მოახლე, გუუმარჯოს ტახზე და ირემზე ნადირობაში... ასე ღმერთმა ჩვენი ბატონის მტერი და ორგული გამოსცალოს, რავაც მე აი ყანწი...—ყაფლანმა გადაჰკრა ღვინო და ყანწი გადაუგდო მეორე აზნაურს:—ალავერდი, ვახუშტი შენთა

— იახშიოლ!—მიუგო ვახუშტიმ და დაიწყო:—აი ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი ქალბატონი მზეთამზე, უდღინძელოს ღმერთმა ჩვენი დიდი ბატონი, გუუზარდოს ნანატრი ქალვაჟი...

— მრავალ ჟამიეეერუუუ...—გაისმა ორპირად მოსიმღერეთა ხმა, რომლებიც ბატონისაგან მოშორებით იდგნენ. ბიჭია იდგა შუაში. ის იყო დამწყები და გამყივანი. მისი საამო ხმა წკრიალით სჭრიდა ჰაერს და სადღაც შორს სივრცეში იკარგებოდა. ბედნიერება და სიცოცხლის სურვილი ჰფეთქდა და სდუღდა ამ ახალ-გაზრდა ბიჭის გულში და ხმაში გადმოსჩქეფდა. ის მღეროდა ისე, როგორაც არასოდეს არ უმღერია.

— ბექი, ბატონო,—მოართვა მამუკას აზნაურმა გრძლად მოთლილი, დანებზე გადახვეული, ხორცი.

— აზარფეშა ოსმან-ბეგს!..

— აბა, ოდელიეი... ხელხვავი... ხასან ბეგურაი... საცეკვარი...—ისმოდა მამუკას ბრძანება.

მომღერლები მღეროდნენ.

ოსმან-ბეგმა აიღო აზარფეშა და რაინდულის ზრდილობით დალია მანდილოსნების სადღეგრძელო. ქალებმა მოწიწებით გადაუხადეს მადლობა და მიყუჩდნენ. ოსმან-ბეგიც და მამუკაც შექეიფიანდნენ.

— მამუკავ, შეუდარებელი მოსიმღერები გყავს, შეუდარებელი, მარა ბიჭები ჩვენშიაც მღერიან,—სთქვა ოსმან-ბეგმა,—თქვენ ქრისტიანებში იგია კაი, რომ მანდილოსნებმაც იციან სტუმრებთან სიმღერა.

— გსურს, ოსმან-ბეგო, გაგაგონო ქალების სიმღერა? რეიზა არ მითხარი ამდონ ხანს? სტუმრის სურვილი კანონია ჩემდა და შენ ჩემი სტუმარი ხარ.—მა[illegible]ა ოდნავ გადაიხარა უკან და რაღაც უთხრა იქვე მდგომ მორბედ-ბიჭს.



პარუჩიკი სამსონ ანთაძე,
დაჭრილი იანტაის ბრძოლის დროს.

— ყანწი!—დაიძახა მან.—ყანწი იმ წამსვე გაუვსო მერიქიფემ.—უფროს ბაზიარს უთხარით ქორ-მეძებრები გამოიყვანოს, ოსმან-ბეგს უნდა ვაჩვენო,—შესძახა მან.

მოიტანეს ცხელ-ცხელი ხაჭაპურები. ამ დროს ფაცხიდან გამოვიდა სამი ქალი. სამი ახალგაზრდა მოახლე. ერთს ხელში ჩონგური ეჭირა. ის მოდიოდა მოკრძალებით: თვალებით ვიღაცას ეძებდა მომღერალთა შორის. მან დაინახა ბიჭია, ოდნავ გაუღიმა, გაწითლდა და ამ სიწითლესთან ერთად მის ლამაზ, მშვენიერ, ნაზ სახეს, შავ დიდრონ თვალებს ბედნიერებამ მოჰფინა სიხარულის შუქი. ის მოდიოდა აღელვებული თავის ორ ამხანაგ ქალთან ბატონებისაკენ. ბიჭიას ხმამ კი იმის დანახვაზე უფრო ლაზათიანად და მკვეთრად დაიწკრიალა...

— აბა, დილვარდისავ, დაჯედი მაქანაი, არ შემარცხვინო სტუმართან! ქალიკმარავ, შენ მოძახილი შენებურად, ლამაზისახარ, აბა ჰა, დეიწყეთ!—მიმართა იმათ მამუკამ.

დილვარდისამ სწრაფად მომართა ჩონგური, ოდნავ შეჩერდა, გაიღიმა და ნაზის, მრთოლვარე, წკრიალა ხმით დაიწყო:

„ფარცაკუკუ, ფარცატინა,
„ჟურსა სისხლი რამ გადინა?
„— ლაშქარს ვიყავ, დევიკოდე
„ჟურსა სისხლი მან მადინა!“...

მას ბანი მისცა ლამაზისახარმა და ქალიკმარამ და სასიამოვნო ხმამ მოიცვა ჰაერი. ყველა სმენად გადაიქცა. ყველა აღტაცებით უგდებდა ყურს ამ სამი ქალის მწყობრ, ჰარმონიულ, უბრალო სიმღერას. ბედნიერი ბიჭია მისჩერებოდა თავის საცოლოს. ოსმან ბეგიც ვერ აშორებდა თვალს ქალებს. ის ხარბად, როგორღაც მოუსვენრად, თვალების პრიალით ამწლაკუნებდა თხელ წითელ ტუჩებს და ჰბერავდა ცხვირის ნესტოებს. ყველა მოხიბლული იყო ქალების სიმღერით და ტაშის კვრით აჯილდოვებდნენ იმათ მოხდენილ ხმებს. მხოლოდ ერთი, მამუკას მეუღლე არ იყო გუნებაზე. ის მოუსვენრად უცქეროდა ხან ქმარს, ხან ოსმან ბეგს და ხან მოხუც გამდლის შვილს, თავის შვილივით გამოზრდილ საყვარელ მოახლე დილვარდისას.

ქალები დაჩუმდნენ.

— მოგეწონა? ხა, ხა, ხა, ხა, გაიხარხარა მამუკამ,—ფეშქეში! მიჩუქებია შენდა დილვარდისაი...

— აა, მაჩუქე?..—შეჰყვირა გახარებულმა ბეგმა და წამოდგა,—ყარაბაღულს ელოდე ჩემგან, მამუკავ, ყარაბაღულს...

— ოჰ, ვფიცავ მაჰმადს, მშვენიერებია, მშვენიერები ყველაი; მარა იგი ერთი, ჩვეურს რომ უკრავს,—სთქვა აღელვებულმა ოსმან-ბეგმა, —იმისთანაი არ შეიძლება... ოჰ, ამისთანა ქალს რომ ვიშოვნიდ თელ სა ამადიანოში...

— ბაზიარო, ჩემი მიმინო, ჩქარა!—დაიძახა ამუკამ.

— ბატონო, დილვარდისაი ხომ ბიჭიას დაჰპირდი?—სწრაფად ამოდგა მზეთამზე და მთრთოლვარე ხმით, გაუბედავად მიმართა ქმარს აღელვებულმა.

— ოჰ, თლა დამავიწყდა, —სთქვა სიცილით მამუკამ,—მარა მაინც სტუმარს მიეწონა და უზდელობა იქნებოდა, რომ არ მეჩუქებია... აფერია, ბიჭიას ქალიკმარას შევრთავ...

— თუ აფერია და აჰა შენ, სისხლის მსმელო...

ამ დროს გაისმა ფიშტოს ხმა. ბიჭია გადახტა სუფრებზე და დაეშვა ეკლიან თავჩაღმართში.

ერთ წამს ყველანი გაშტერებულნი იდგნენ.

— დამკოდა, ხელში დამკოდა მაგ საძაგელმა! დეიჭირეთ, მომგვარეთ აქეთ!.. სეხნიეს ოჯახი დაარბიეთ, ძირიან-ბუდიანა ამოაგდეთ მისი ქოქი და თვითან აქანაი მომიყვანეთ ცოლიანა... გავამათრახებ ორივეს, ჩამოვჰკიდებ... რავა გამიბედეს...—ყვიროდა მამუკა.

აზნაურები თავიანთ ცოლებიანა ფუსფუსებდნენ და უხვევდნენ მას მსუბუქ ჭრილობას. შეშინებული, გაფითრებული ყმები ქუდ-მოგლეჯილნი დარბოდნენ ბატონის ბრძანების ასასრულებლად.

ნინო ნაკაშიძე.




ახლად არჩეულმა სოფლის მამასახლისმა ჩაიბარა სამსახური!




რედაქტორი. რა ამბავია, ძამია?

გლეხი. ამბები თქვენ უფრო მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე. მაგრამ ერთ სწერთ და სწერთ მაგდენს, კუჭი კი ისევ მშიერი გვაქვს-და!..

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი